



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/64

ქ. თბილისი

24 ოქტომბერი 2018

სტუ-ის 2018 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ე. ქოქრაშვილის 2018 წლის 22 ოქტომბრის №05-01/61 და 23 ოქტომბრის №05-01/62 წერილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 24 ოქტომბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:
  - 1.1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის: „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ პუნქტიდან 2 500 ლარი გადატანილ იქნეს „წარმომადგენლობითი ხარჯების“ პუნქტში;
  - 1.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელია ცვლილებები: იჯარიდან მიღებული შემოსავლების, კერძოდ სსც „ანალიზხელსაწყოს“

ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ პუნქტიდან 5 926 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯებში: წყლის ხარჯში – 1 200 ლარი; ელექტროენერგიის ხარჯში – 3 226 ლარი, ხოლო მიმდინარე რემონტის ხარჯში – 1 500 ლარი;

1.3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის იჯარიდან მიღებული შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილებები:


- „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ პუნქტიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში, საავადმყოფო ფურცელზე მყოფ თანამშრომელთა ასანაზღაურებლად;

- „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ პუნქტიდან 750 ლარი გადატანილ იქნეს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „შენობა-ნაგებობების“ პუნქტში IX კორპუსის გაზიფიცირების პროექტის ხარჯთაღრიცხვისათვის, ხოლო 28 680 ლარი – „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ პუნქტში, სსც „ანალიზხელსაწყოს“ შენობაში ჩარხების მონტაჟისათვის;

1.4. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „მივლინების“ ხარჯიდან 770 ლარი გადატანილ იქნეს „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ პუნქტში.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოკიძე